№ 87

შაბათი, 25 აპრილი, 1898 წ.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

1877—1898

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 87

შაბათი, 25 აპრილი, 1898 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. **ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. **ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. ზრორტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардiана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(წ)

**ᲕᲐᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑ**

**ᲢᲐᲥᲡᲐᲪᲘᲐᲡ** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

ᲙᲚᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲜᲘᲕᲔᲚᲘᲠᲝᲕᲙᲐᲡ.

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲜᲔᲥᲝᲕᲘ.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

(50—80—1).

## ᲜᲔᲙᲠᲝᲚᲝᲒᲘ

### † თავადი გიორგი ქოჩაკიძე

შეიტყობ, დიდი და დიდ-ბუნებოვანი მამულიშვილი გარდაიცვალაო და ჯერ-ხნობით მაინც არ გჯერება, რომ მოსპობოდეს სიცოცხლე თვით ამ „ცოცხლობას“ მქადაგებელსა და დარაჯს... გარნა შენი ურწმუნოება მალე რწმენად იქცევა, და ძაძით შემოსილ მეინახე-მგლოვარს მხოლოდ ისღა გრჩება სანუგეშოდ, რომ შენი საყვარელი არსება არ მომკვდარა, არამედ მხოლოდ განუსვენია და ტკბილად დაუძინია... კაცი რჩეული, კეთილად მშრომელი მოღვაწე და მქადაგებელი არა კვდება. თვით ხორციელი სიკვდილი შარავანდოსან ჰყოფს მის სულიერს ნამუშაკარს. სიტყვა და ქადაგება მისი არის მის-მიერვე და მისდავე აგებული ხელთუქმნელი და უხრწნელი ძეგლი, მარად ჟამ ჩვენი მანუგეშებელი და გამამხნევებელი...

აღარ გვყავს კოლხიდის შვილი და საქართველოს წარჩინებული მგოსანი. მოჰბერა სასტიკმა ჩრდილოეთის ქარმა და წარიტაცა სასურველი მამულიშვილი. განისვენა ჰპლადი დელმა შორს საქართველოდგან, თეთრის ზღვის მიდამოებში...

დადუმდა ენა, რომელიც ატკბობდა ქართველს 30 წლის განმავლობაში:

გადატყდა კალამი, დიდ-მშვენიერ ძეგლების მწერალი;

შესდგა შვინვა აღმატებულ რიტორისა.

წარვიდა იგი ნათლით მოსილი და დაემკვიდრა იქ, „სადა არა არს ჰირი, არცა მწუხარეა, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“.

—

გიორგი ჰპლადიდელის ნაწერები, განბნეულნი ქართულს დრო-გამოშვებით ჟურნალ-გაზეთებში, „ხელით ხელს საგოგმანებელნი“ იქმნებიან, როდესაც ცალკე წიგნად დაჰბეჭდავს რომელიმე მადლიანი კაცი. მხოლოდ დღევანდელ სამგლოვიარო დღისთვის ამ ნაწერებიდგან ამოგვაქვს ორიოდე ნაღვლიანი და ამასთანავე კაცურ კაცის ღრმად ჩამაფიქრებელი ნაწყვეტი.

ა.

ნელის ქუხილით გადმოდის
კამკამი მთიური წყარო;
თითქო მთა-ბარს ჩაჰკითხოდეს,
მოწყენილი რათა ხარო?
აბა, წყარო, ჩემო წყარო,
სამშობლოდგან მომდინარო,
ყვავილი და ახალ ბუჩქი,
გევედრები, გაახარო!

ბ.

ჰხედავ!..
არემარეს ნელა სძინავს,
და ას-წლოვან მოხუც მუხას
მძიმეთ თავი ჩაუღუნავს,
და ფოთლების ნელსა რხევას
ყურს უგდებს და უკვირდება,
საქართველოს ძველს მოთხრობას
თითქოს მას ეჩურჩულება.

გ.

(ამ ლექსში ჰპლადიდელი მოიხსენებს თავისს ყმაწვილობის დროს, როდესაც იგი სწავლობდა ჯერ შინ, მერე ქუთაისისა და ტფილისის სასწავლებლებში და მერე რუსეთში).

მახსოვს, პირველად სასწავლებელში
წასაყვანად რომ მე მომამზადეს:
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში
და შორსა გზასა მე გამამგზავრეს.
ვხედავდი, მინდვრებს რომ ვშორდებოდი,
ნაჩვევ ბაღებსაც ვეთხოვებოდი,
დაღონებული მწარედ ვსტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი.
მხოლოდ ეს მახსოვს, გამომყვა დედა
და მითხრა: „შვილო, კმარა, ნუ სტირი,
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა,
ვინ მოიშორა თავიდგან ჭირი;
„გიყვარდეს სწავლა, გულს მოდგინება,
შრომა და ჯაფა ნუ დაგეზარება,
თუ შენი შრომა და შენი ჯაფა
სამშობლოს რადმე გამოადგება;
„იყავ ბეჯითი და გქონდეს სმენა,—
კარგია, შვილო, სწავლის შეძენა,—
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზედ უფრო,—
არ დაივიწყო სამშობლო ენა;
„მერწმუნე, რომა გამოცდილია,
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია“.
ამ სიტყვებითა დედაც მომშორდა
და ეს მას აქეთ დამამახსოვდა,
რომ ის ამ სიტყვებს გრძნობით ამბობდა,
თვალიდგან ცრემლსა ფრქვევა გაჰქონდა.

გაგებულ კაცს ბევრს და ფრიად ბევრს ეუბნება ჰპლადიდელის დედის სიტყვები შესახებ სამშობლო ენისა, მისის საძირკველისა. ჰპლადიდელის მშობელი არა ჰგვანებია ზოგიერთ აწინდელ ცირაებსა და ქომოლი-კოჩებს! დედაც ის არის, რომელიც სამშობლოს აღუზრდის ჰპლადიდელისთანა კაცებს; ნეტარ არს იგი მშობელი, რომელიც თავისს რძესთან ერთად შვილს შეასისხლხორცებს მამულის სიყვარულს და შეასწავლის საუბარსა და მსჯელობას იმისთანა წმინდასა და ანკარა ენაზედ, ვითარიც არის ენა ჰპლადიდური.

წმიდათა თანა განუსვენე, ქრისტე ღმერთო, სულსა ახლად გარდაცვალებულისა მონისა შენისა გიორგი ქოჩაკიძისასა.

მ. ჯანაშვილი

## ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ხელმწიფე იმპერატორის მიერ უმაღლესად დამტკიცებულის, ამა წლის 26 მარტს, მინისტრთა კომიტეტის ჟურნალით, შესახებ უქვეშევრდომესის: 1) კავკასიის მხრის მთავარ-მართებლის 1897 წლის მოხსენებისა და 2) აღწერისა ბაქოსი, ქუთაისისა, ტფილისისა და ერევნის გუბერნიების და ყარსის ოლქის 1896 წლის მდგომარეობისა, დადგენილია:

1) მიეცეს ნება კავკასიიდგან ოსმალეთში დაბრუნებისა ტამოჟნის წესების მიუხედავად, ადგილობრივის პოლიციის უფროსს და მოწმობით ოსმალეთის ქვეშევრდომ იმ გადმოსახლებულ სომეხთა, რომელნიც მოისურვებენ ისარგებლონ ამ ნება რთვით.

II მიენდოს კავკასიის მთავარ-მართებელს ა) ამ უმაღლესის ბრძანების გამოცემის რიცხვიდგან ერთის წლის განმავლობაში გადასახლოს მისდამი რწმუნებულის კავკასიის მხრიდგან უკელა ის ოსმალეთის ქვეშევრდომნი გადმოსახლებულნი სომეხნი, რომელნიც არ მოისურვებენ ისარგებლონ ზემო-მოხსენებულის მინისტრთა-კომიტეტის დებულების 1 მუხლით და აღმოუჩინოს მათ შემწეობა იმ თანხიდგან, რომელიც იმისთვის იქმნება შემოწირული. და ბ) გამოაცხადოს ეს დაუყოვნებლივ საყოველთაოდ.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** ჩვენს სადგილ-მამულო ბანკს ქაღალდი მოუვიდა ფინანსთა სამინისტროსაგან, რომ ბ-ნს მინისტრს თანხმად ბ-ნ მამაცაშვილის შუამდგომლობისა ნება დაურთვია $4^1/_2$% გირავნობის ფურცელი იქონიოს და ამისი შესაფერი წესი შეადგინოს წესდებაში შესატანად და გამოირიცხოს წესდებიდამ ყოველივე ის, რაც შეეხება 6%-ნს გირავნობის ფურცლებს, რომელნიც, 6%-ნი სესხნი ამ მაისში უნდა გადაიქცეს 5%-ან სესხადაო, როგორც ეს გვაუწყა ბანკის წარმომადგენელმა მამაცაშვილმა. სამინისტროს აგრეთვე იმავ ბ-ნ მამაცაშვილის შუამდგომლობით, ნება დაურთავს წმინდა შემოსავლის გამოსაყვანად ქალაქის მამულებზედ მიღებულიყოს გამოსათვლელად 20% და 30% და არა 30% და 40%, როგორც აქამომდე იყო.

*** გუშინ-წინ, 23 აპრილს, გიორგობა დღეს, ქაშვეთის ეკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდე. წირვას აუარებელი ხალხი დაესწრო. სადღეობოთ სოფლიდგანაც მრავალი იყო ჩამოსული.

*** საფრანგეთის ერთმა ამხანაგობამ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გამოუგზავნა გამოსაცდელად ახალი წამალი სოკოთი ავადმყოფ ვაზების მოსარჩენად.

*** ოთხშაბათს, 22 აპრილს, კრება ჰქონდათ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ. კრებამ მოილაპარაკა კავკასიის მოუსავლობით დაზარალებულ გუბერნიების შესახებ და დაადგინა, შუამდგომლობა დაიწყოს, რომ ხელის მოწერით აღმოეჩინოთ დახმარება დაზარალებულთ და აგრეთვე იმ თანხიდგან, რომელიც მოგროვდა რუსეთის შიდა გუბერნიების დაზარალებულ მცხოვრებელთა სასარგებლოდ.

*** პირველ გიმნაზიის დირექციის განკარგულებით თხოვნები გიმნაზიის დაბალ კლასებში მისაღებად არავისაგან აღარ მიიღება, რადგან მოსწავლეთა საკმაო რიცხვი იქმნა მიღებული.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტრომ კავკასიაში ამერიკის ვაზის მოვლა-მოშენების საქმის გამგეობა უფროს აგრონომს სტაროსელსკის მიანდო, ხოლო ექსპერტს სპეშნევს—ვენახების წამლობის საქმე.

*** იმ კომისიამ, რომელსაც ცხენის რკინის გზის თვალ ყურის ჭერა აქვს მინდობილი, უკანასკნელ კრებაზედ დაადგინა: წინადადება მისცეს ავჭალის ქუჩის ცხენის რკინის გზის პატრონთ, ან მეორე ლიანდაგი გაიყვანონ, ან მეტი ვაგონები დანიშნონ სასიარულოდ; წინადადება მისცეს რკინის გზათა უსახელო საზოგადოებას, გააფართოოს ის ფარდული, რომელიც ერევნის მოედანზეა და დადგას იქ სკამები; ყველა ვაგონებს ჩამოაფაროს ფარდები ვაგონის ჭერიდგან ხელის წასავლებამდე. ამასთან კომისიამ დაადგინა 15 მანეთით დააჯარიმოს ხსენებული საზოგადოება იმის გამო, რომ 30 მარტს ვაგონები განათებული არა ჰქონდა და კანდუქტორი უზრდელად მოიქცა და 4 წლის ბავშვსაც ფასი გადაახდევინა.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ წელს კალიის ამოსაწყვეტად საჭირო წნელი მოჰრილ იქმნას სახელმწიფო ტყეებში.

*** „კავკასის“ სიტყვით, ნება დაერთო ახალქალაქის წარმომადგენელთ, დააწესონ ახალქალაქში ქალაქის საყასბოზედ საქონლის დაკვლის გარდასახადი, სახელდობრ: წვრილ-ფეხა საქონლის დაკვლისათვის გამოერთვას 20 კაპ. თითოზედ, ხოლო, ძროხისა, ხარისა და სხვისა—60 კაპ.

*** გაზ. „კავკასს“ სწერენ გორის მაზრის სოფ. ყვიბისიდგან, რომ სოფლის საზოგადოებამ განაჩენით დაადგინა ააგოს შენობა და თვის ხარჯით შეინახოს ერთ-კლასიანი საეკკლესიო-სამრევლო სკოლაო.

*** ქუთაისიდგან სწერენ გაზ. „კავკასს“, რომ ამ ჟამად აქ დიდი მზადებაა ქალაქის არჩევანებისათვისაო. ორი დასი შესდგა. ხალხი ყოველგვარ ჭორებს ავრცელებს: ზოგი ამბობს, რომ აწინდელმა ქალაქის თვით-მართველობამ დააგირავა ბაღი და ხიდი, ზოგი—სალორის ტყე გაყიდაო და ვინ იცის კიდევ რას არ იგონებენო.

*** ს. ქვემო-მაჩხაანი, (სიღნაღის მაზ.). აპრილის 18 ს ჩვენს სოფელსაც ესტუმრა ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი ბიკოვი. აქ დაჰხვდა წმ. სამების მწვანით მოსილ ფართო მოედანზედ მრავლად თავ-მოყრილი ქვემო და ზემო-მაჩხაანის ხალხი, რომელმაც დიდის აღტაცებით და „ურას“ ძახილით მიიღო ბ-ნი გუბერნატორი და მიართვა ხონჩით პურ-მარილი. ბ-ნმა გუბერნატორმა ხალხის ყოველივე თხოვნა-საჭიროება მამაშვილურის ყურადღებით მოისმინა და აღუთქვა შესაძლებელი შემწეობა; მამაშვილურისავე ალერსით გამოჰკითხა რამდენიმე სიტყვა იქვე მის საპატიოდ გამწკრივებულს ქვემო-

მაჩხაანის სკოლის მოსწავლეებს და მერე მიბრძანდა ქიზიყის მომხმარებელ საზოგადოების დეპოს სანახავად. ბ-ნს გუბერნატორს დიდად მოეწონა სახალხო-საზოგადო დეპო და გულ-ნასიამოვნებმა ბრძანა: „მე არ მეგონა, თუ სოფლად თქვენს ჯერედ ნორჩს კოოპერატიულს საზოგადოებას ასეთი უზარ-მაზარი შენობა-დარბაზი, რომლის მსგავსს იშვიათად შეჰხვდება კაცი ქალაქებშიაც-კი, ასე მშვენივრად ექნებოდა ყოველგვარ სავაჭრო საქონლით შემკობილიო“. ბოლოს ბ-ნმა გუბერნატორმა გამოჰკითხა გამგეობას დეპოს ავ-კარგი, მისი საჭიროება, აღუთქვა დეპოს თავის მცველ-მფარველობა, როგორც თავისგან დამტკიცებულს ხალხისათვის საკეთილო საქმეს, და გულითა და სულით ისურვა მაჩხაანის საზოგადო დეპოს წარმატება-გაძლიერება და მსგავსი სახალხო-საზოგადო დეპოების საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში დაბადება ქვეყნის სიკეთისათვის. ქვემო-მაჩხაანიდგან ბ-ნი გუბერნატორი წაბრძანდა თუქურმიშას (თამარ-დედოფლის წყაროზედ), საიდგანაც ესტუმრება ზაქათალის ოლქს დასათვალიერებლად, ზაქათლის ოლქიდგან აუვლის ალაზნის გაღმა-მხრის სოფლებს, დაათვალიერებს, თელავისა და თიონეთის მაზრებსაც და წაბრძანდება ტფილისში.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრება

22-ს აპრილს

მინამ ამ კრების ანგარიშს შევუდგებოდეთ, საჭიროდ ვრაცხთ წინანდელის კრების ერთი ამბავი მოვიხსენიოთ, რომელიც ჩვენს ანგარიშს გამოაკლდა. როცა სამეურნეო ფულზე ლაპარაკი ჩამოვარდა, ზოგიერთმა წევრმა გამოაცხადა, რომ რადგანაც წინა კრების განაჩენია, რომ ეგ ფული დაუბრუნებლად არ იხარჯებოდეს, ამიტომაც ყოველივე ბაასი მაგ საგანზე დღეს ამ კრებაზე უკანონო იქნებაო. ვიდრე იგი განაჩენი არის და არ გაუქმებულა, იმას უნდა ვემორჩილებოდეთ და თუ იმ განაჩენის გაუქმება საჭიროდ დანახულია, მაგ საქმეს უნდა იგი კანონიერი გზა გამოევლო, რაც წესდებაში მოხსენებულიაო. თ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილმა აუხსნა კრებას, რომ ამ შემთხვევაში სრულიადაც საჭირო არ არის ხსენებულ განაჩენის გაუქმება და ამას არც არავინ ჰთხოულობს. იმ განაჩენში სწერია, რომ სამუდამოდ, ესე იგი, უკან დაუბრუნებლად არაფერზე დაიხარჯოსო. თუ ეხლა ეგ ფული ეძლევა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას შეუძლებელთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, შეიძლება ვადით მივცეთ იმ ხნობამდე, ვიდრე „სკრას“ ვალი მოშორდება ჩვეულებრივის გზითა და ეს რომ დავუმატოთ გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის განაჩენს, კრების წინანდელის განაჩენის თანახმა იქნებაო. საზოგადო კრებამ მიიღო ასეთი გარკვევა საქმისა და ამის გამო შესაძლოდ დაინახა გადაწყვეტა სამეურნეო ფულის შესახებ საქმისა იმ რიგად, როგორც ეს მოვიხსენიეთ 21 აპრილს კრების ანგარიშში.

22-ს აპრილს კრება გაიმართა 12 საათზე. სულ შეიყარა 211 წევრი დამფუძნებელი და 29 მსესხებელი. წაკითხულ იქმნა წინა დღის ოქმი კრებისა და დამტკიცებულ იქმნა. მორიგ საქმეთა შორის პირველი იყო იმ წესთა განხილვა, რომელიც შეეხება დამფუძნებელთა რიცხვის წესებსა. რადგანაც უკვე მიღებულია ცნობა, რომ უმაღლესს მთავრობას განუზრახავს დამფუძნებელნი სრულად გააუქმოსო, ამიტომაც ეხლა საჭირო არ არის მაგის შესახებ რაიმე წესები დაიდვასო. კრებამ მიიღო ეს მხედველობაში და დაადგინა ეს საქმე გამოირიცხოს მორიგთა საქმეთაგან. ამავე დროს ერთმა წევრთაგანმა გამოაცხადა, რომ აწ განსვენებულის გამგეობის წევრის თ. დ. ავალოვის სახლობას რაიმე შემწეობა მიეცეს ბანკიდამაო. კრებას აუწყეს, რომ საზოგადო კრებისაგან დადგენილ განაჩენის ძალით გამგეობას უკვე მიუცია თ. ავალოვის სახლობისათვის ორასი თუმანი ფული შესაწევრად ჯამაგირ გარეითად და გარდა ამისა სათავად-აზნაურო სკოლას სთხოვა ერთის ქალის აღსაზრდელად რაიმე სახსარი ამოუჩინოსო თ. ავალოვის სახლობას. კრებამ ეს იკმარა და ამაზე ბაასი შესწყვიტა.

შემდეგ ამისა განხილულ იქმნა განაჩენი გამგეობისა და ზედა-მხედველ კამიტეტისა შესახებ იმისა, რომ ვენახებსა და ხე-ხილის ბაღებზედაც მიეცეს სესხი გირავნობის ფურცლებითა. წაიკითხეს მოხსენება გამგეობისა, სადაც წარმოდგენილია საბუთები, რომ საჭიროა ნება ჰქონდეს ბანკს გირავნობის ფურცლებით აძლიოს სესხი ვენახებსა და ხეხილის ბაღებზე. ხოლო რადგანაც ვენახები იმისთანა საფრთხილებელს საგანს გირაობისას შეადგენს, რომელიც განსაკუთრებულად საფიქრებელია, რომ ამ მხრით ბანკმა ზარალი არა ჰნახოს, გამგეობას და ზედა მხედველ კამიტეტს საჭიროდ დაუნახავს ამ მხრით ბანკი უშიშარ ჰყოს და ამიტომაც დაუდგენია: 1) ვენახი, რომელიც დაგირავებული იქნება ბანკში, თუ ვინიცობაა გასასყიდად ჩავარდება და ბანკის ვალს სრულად არ აუყენებს, მაშინ ბანკს ნება აქვს დანაკლისი შეისრულოს სხვა ქონებიდამ, ჯერ მოძრავიდამ და მერე უძრავიდამ, რომელიც აღმოუჩნდება დაგირავებულ ვენახის პატრონს; 2) ბანკს უნდა მიეცეს ნება მოსთხოვოს ვენახის დამგირავებელს, სხვათა შორის, მოწმობაც ფილოქსერისათვის დაწესებულებისა იმის შესახებ თუ,—რა მდგომარეობაშია დასაგირავებელი ვენახი ან მდებარეობით, ან სიახლოვით იმ ადგილებთან, სადაც ფილოქსერაა; 3) ბანკს ნება ჰქონდეს დრო-გამოშვებით, როცა კი საჭიროდ დაინახავს, გასინჯოს დაგირავებული ვენახები და ყოველ იმ შემთხვევაში, როცა აღმოაჩენს, რომ ვენახი ან მოუვლელობით, ან სხვა რაიმე მიზეზით ჰფუჭდება და ფასს იკლებს, მოსთხოვოს ვენახის პატრონს ვადამდე ვალის გადახდა ან მთლად, ან ნაწილისა და თუ პატრონი ვენახისა ოთხ-თვეზე ბანკის განაჩენს არ აღასრულებს, ვენახი გაიყიდოს; 4) ვენახი და ხილის ბაღები უნდა დაფასებულ იქმნას ისე, რომ წმინდა შემოსავალი წლისა გამოირკვეს და ეგრედ გამორკვეული შემოსავალი ათჯერ აიღოს და ის იქნება ფასი ვენახისა და ბაღისა; 5) რაც ამ გზით ფასი ვენახისა თუ ბაღისა გამოირკვევა, თვითოეულ მანეთზე სესხად მარტო ორი აბაზი მიეცეს. ხოლო იმისთვის, რომ გირავნობის ფურცელს, ვენახსა და ბაღზე გამოცემულს, ფასი რიგიანი ჰქონდეს და მყიდველი გირავნობის ფურცლისა დათავდებებული იყოს, რომ ფული არ დაეკარგება და სესხი ვენახებსა და ბაღებზე გაცემული მკვიდრია და უშიშარი, გამგეობას და ზედამხედველ კამიტეტს საჭიროდ დაუნახავს ორნაირად გააძლიეროს გირაოს თავდებობა: ერთი მით, რომ ყველა დაგირავებულმა ვენახებმა და ბაღებმა ურთიერთს უთავდებონ, თუ ვინიცობაა რომელისამე ვენახისა და ბაღის გამო ბანკმა ზარალი ჰნახა და ამას გარდა თვითონ ბანკმა თავისის ფულიდამ თითო მანეთის სესხის კვალობაზე გირაოდ დასდოს ნაღდი მანეთზე ერთი აბაზი.

შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა ყოველ ამ საგანზე, რომელიც, თავმჯდომარის განკარგულებით, თვითეულად ცალკე იყო ახსნილი და განხილული, ყოველივე ზემოხსენებული ერთხმად მიღებულ იქმნა; არ დაეთანხმა მხოლოდ თ. ნ. თ. ჩოლოყაშვილი. ხოლო გამგეობისა და ზედა-მხედველ კამიტეტის აზრით წმინდა წლიური შემოსავალი უნდა გამორკვეულ ყოფილიყო იმოდენად, რასაც აღმოაჩენდა ხუთის უკანასკნელის წლის წმინდა შემოსავალის ორთ-შუა რიცხვი და კრებამ ეს არ შეიწყნარა. კრებამ ის წინადადებაც მიიღო, რომ დაევალოს გამგეობას ბანკისას ზემოხსენებულ საფუძვლებზე შეადგინოს წესნი და სადაც ჯერ არს წარუდგინოს შუამდგომელობა, რომ იგი წესნი შეტანილ იქმნან წესდებაში.

წარდგენილ იქმნა დასამტკიცებლად ინსტრუქცია შესახებ იმისა თუ,—როგორ უნდა მოუაროს და უპატრონოს ბანკმა იმ დაგირავებულ მამულებს, რომელიც ბანკსა ჰრჩება, როცა საჯაროდ არ იყიდება. ეს ინსტრუქცია დამტკიცებულ იქმნა. რაც შეეხება პოლიტეხნიკუმისა და სხვა შესაწევრის გამო მოხსენებას გამგეობისას და ზედა-მხედველ კამიტეტისას, იგინი აღარ იქმნა განხილულ, რადგანაც წინად დღით ეგ შესაწევარნი უკვე დამტკიცებულ იქმნენ. რაკი ყოველივე ეს გათავდა, თავ-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ რაც საგნები იყო ამ კრებისათვის დანიშნული, სულ განვიხილეთო. ეხლა უნდა შევუდგეთ არჩევანებსა და რადგანაც დღეს დაგვიანდა, არჩევანები ხვალისათვის გადაიდვასო. ყოველ ამის შემდეგ თავ-მჯდომარემ მიჰმართა კრებას და აუხსნა, რომ შარშან გადაიცვალა გამგეობის წევრი თ. დ. ი. ავალოვი, რომელსაც ხანგრძლივი სამსახური მიუძღვის და ღვაწლიც გაუწევია, ვთხოვ საზოგადოებას ფეხზე წამოდგომით პატივი გამოვუცხადოთ მისსა ხსენებას. მთელი კრება ფეხზე წამოდგა ნიშნად პატივის ცემისა. მეორე დღეს, 23 აპრილს, შეუდგნენ ერთის გამგეობის წევრისა და მისის კანდიდატის არჩევანს და ორის დამფასებლისა და ორის მათის კანდიდატისა. გამგეობის წევრად დასახელებულ იყვნენ კრებისაგან თ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილი, პ. რ. ყიფიანი, თ. დ. ა. გურამიშვილი, თ. ს. ნ. ვეზირიშვილი და თ. ი. გ. ბარათაშვილი. თ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილმა და თ. ი. გ. ბარათაშვილმა უარი სთქვეს და კენჭი უყარეს სამს დანარჩენს. ამორჩეულ იქმნა პ. რ. ყიფიანი, რომელსაც 300 თეთრი კენჭი მოუვიდა და 181 შავი. კანდიდატად ამოირჩიეს გენერალ-მაიორი კ. ბ. ჭილაშვილი. დამფასებლად კენჭი იყარეს ა. ნ. ფურცელაძემ, თ. გ. ს. ციციშვილმა, ი. ქ. ყანჩელმა, თ. ი. გ. ჯორჯაძემ და კ. დ. ყიფიანმა. ამათში ამორჩეულ იქმნა ა. ნ. ფურცელაძე (313 თეთრი და 168 შავი კენჭი მიიღო) და თ. გ. ს. ციციშვილი (292 თეთრი და 189 შავი კენჭი მიიღო). ამათ კანდიდატებად ამორჩეულ იქმნენ თ. ი. გ. ჯორჯაძე და პ. ს. გვერდწითელი.

არჩევანის შემდეგ თავ-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ კრებამ შეასრულა ყოველივე, რაც განსახილველად ჰქონდა და ამიტომაც იგი დათხოვნილია. კრებამ გამოუცხადა მადლობა თავ-მჯდომარეს გარჯისა და შრომისათვის.

## წლიური წევრთა კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის

23 აპრილი

კრება დაიწყო საღამოს 9 საათზედ. კრების დაწყებისას, გამგე კომიტეტის წევრმა ნ. ზ. ცხვედაძემ განაცხადა, რომ კომიტეტის თავმჯდომარის თ. კ. ი. მუხრან-ბატონისა და იმის ამხანაგის კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანის უქეიფობისა გამო კრების თავმჯდომარეობას მე ვკისრულობო.

შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგე კამიტეტის მოხსენება საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ. როგორც ამ მოხსენებიდგანა სჩანს, საანგარიშო წელს სათავად-აზნაურო სკოლა შესდგებოდა მოსამზადებლის კლასის ოთხის ძირითადისა და სამის პარალელის განყოფილებისა და ექვსის გიმნაზიურ კლასისაგან. მოსწავლეთა რიცხვი 490 იყო, ამათგან მოსამზადებელ კლასის განყოფილებაში სწავლობდა 312, ხოლო გიმნაზიურ კლასებში—178 მოსწავლე. მასწავლებელთა რიცხვი იყო 25, 16 სამუდამო და 9 დროებით მიწვეული. მოსწავლეთაგან 116 პანსიონერი იყო, ხოლო 374 გარედგან მოსიარულე. პანსიონერთა შორის საზოგადოების ხარჯზედ იზრდებოდა 26 მოსწავლე, დანარჩენნი თავიანთ ხარჯზედ. მოხსენებაში სხვათა შორის ნათქვამია: „როგორც თვით სკოლაში, ისე პანსიონში მიღების მსურველთა რიცხვი დიდი იყო, მაგრამ ყველა ვერ დავაკმაყოფილეთ როგორც ვაკანსიების უქონლობისა, ისე სახლის ვიწროობისა გამო. მოხსენებულ მიზეზთა გამო უარი ეთქვათ ბევრ იმათგანსაც, რომელნიც მზად იყვნენ წინადვე წარმოედგინათ შესანახი ფული ოც-ოცი-თუმანი, ოღონდ-კი მიგვეღო იმათი შვილებიო. ამ გვარი გარემოება თვალ-საჩინოდ ჰხდის ყველასათვის, თუ რამდენადაც საჭიროა რაც შეიძლება მალე შევუდგეთ სკოლისათვისა რიგიანისა და ფართო სასახლის აშენებასა“-ო.

ამ მოხსენებიდგანავე სჩანს, რომ საანგარიშო წელს სკოლისა და პანსიონის შენახვა 57,198 მან. 93 კაპ. დამჯდარა. თითოეულის ყმაწვილის სწავლა დაჯდა თურმე 68 მან. 37 კ., ხოლო თვითეულის პანსიონერისა—204 მან. 27 კაპ. ამ წელს სკოლისა და პანსიონის ხარჯის გასაძღოლად გამგე კამიტეტს ხელთ ჰქონია 35,374 მან. 21 კ. ბანკიდგან მიღებული და 12,366 მან. პანსიონერებისა და გარედგან მოსიარულეთაგან მიღებული. დანარჩენი 13,000 მან. ბანკის წევრთა საზოგადო კრების დავალებისამებრ თავად აზნაურთა ქონების მომვლელ კომისიას უნდა ესესხებინა, მაგრამ იმას არ უსესხებია და ამით კამიტეტი დიდს გაჭირვებაში ჩაუგდია.

ამა მიმდინარე წელს, კამიტეტის გამოანგარიშებით, სკოლის შესანახად საჭიროა 63,336 მან. 48 კაპ. ამ ფულში ჩარიცხულია ახლად დაარსებულის მე-7 კლასის ხარჯიც-1,860 მან. და საფიზიკო კაბინეტისათვის საჭირო ფული 2,000 მან. ბანკიდგან კამიტეტი 49,213 მან. 91 კაპ. თხოულობს, დანარჩენი სხვა-და-სხვა წყაროდგან შემოუვა. ამას გარდა, შარშანდელის სესხის გარდასახდელად 23,000 მან. საჭიროა და სულ-კი—73,700 მან.

ამავე მოხსენებაში მოყვანილია ცნობები საზოგადოების სამის სახლისა, სკრის მამულისა, დედათა კამიტეტის მოქმედებისა, ღარიბ მოსწავლეთა დახმარების საქმისა და სკოლისათვის ადგილის სყიდვის საქმის შესახებ. საანგარიშო წელს კამიტეტს ერთი სახლი გადაუკეთებია და ორი აუგია. სახლების აგება დასჯდომია სულ 72,564 მან. 77 კ., ამ ჟამად მათზედ ვალი ყოფილა: ბანკისა—140,024 მან. 46 კაპ., საზოგადოების კასსისა—13,535 მან. 34 კაპ., და მოიჯარადრესი—5,766 მან. 52 კაპ., წმინდა შემოსავალს კამიტეტი ამ სახლებიდგან მოელის ყოველ წელიწადს 3,000 მან. რაიცა ვალის გასტუმრებას მოხმარდება.

„სკრის“ მამულს საანგარიშო წელს შემოსავალი ჰქონდა 2,773 მან. 62 კაპ., მაგრამ ამ ფულიდგან არაფერი დარჩენილა, რადგან ზოგი უკვე მოუხმარებიათ მამულისათვის და ზოგიც ახალ მოსავლამდე მოჰხმარდება. „სკრის“ ვალის გასასტუმრებლად კომიტეტი თხოულობდა ბანკისაგან 23,000 მან. და, როგორც უკვე ბანკის კრების ანგარიშებიდგან უწყიან მკითხველებმა, საზოგადო კრებამ გადასდო ეს ფული იმ პირობით-კი, რომ აქედგან 12,000 მან. დროებით გორის მემამულეთა საზოგადოებას მიეცეს.

მოხსენებიდგან სჩანს, რომ საანგარიშო წელს დედათა კამიტეტის თანხა საქალებო სასწავლებლის დაარსებისათვის 20,000 მანეთამდე ასულა. „რასაკვირველია, ეს თანხა მცირეა და ჯერ კიდევ არ შეიძლება შევუდგეთ საქალებო სკოლის დაფუძნებასაო“, ნათქვამია მოხსენებაში.

საანგარიშო წელს გამგე კამიტეტს ღარიბ სტუდენტების და სხვა მაღალ სასწავლებელში მოსწავლეთა დასახმარებლად სულ 3,063 მან. დაუხარჯავს. ამასთან კამიტეტი აცხადებს, რომ ღარიბნი ბევრნი არიან, მაგრამ შეუძლებლობისა გამო ყველას დახმარებას ვერ ვუწევთო.

ანგარიშის განხილვის დროს კამათი გამოიწვია იმან, რომ სათავად-აზნაურო სკოლის ღარიბი მოსწავლენი სწავლის გარდასახადისაგან გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებულ უნდა იქმნან, თუ არაო.

თავ. ვლად. ვაჩნაძე. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, წარსულ წელს სწავლის ფასისაგან განუთავისუფლებიათ 150 მოსწავლე. ბევრი გამკიცხავს კიდეც, მაგრამ მე ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ვსთქვა, რომ კამიტეტი მეტად გულ-მტკივნეულად იქცევა და ბევრს ანთავისუფლებს ხოლმე სწავლის ფასისაგან. ეს გარემოება-კი ძალიან საზარალოა სკოლისათვის. საჭიროა ამ შემთხვევაში კლასიკურ გიმნაზიის მაგალითს მივბაძოთ. იქ შეუძლებელს პირდაპირ უარს ეუბნებიან, ჩვენ კი, ვინც ფულის შემომტანია, იმათ ვეუბნებით უარს და უფულოებს ვიღებთ. სწავლის ფასი ძალიან ცოტაა, მაგრამ ბევრნი მაინც განთავისუფლებას თხოულობენ. დროა აღვზარდოთ და გადავაჩვიოთ ჩვენი საზოგადოება ასეთ თხოვნას. ის ფული, რაც კამიტეტს 150 მოსწავლისათვის უპატიებია, სკოლის განკარგების საქმეს დიდს დახმარებას აღმოუჩენდა. ერთხელვე უნდა დავდოთ და დავაწესოთ, რამდენი უფასოდ უნდა იქმნას მიღებული და რამდენი ფასით. ჩემის აზრით, საჭიროა 4 დასად გავყოთ მოსწავლენი: 1) პირველნი უფასოდ უნდა მივიღოთ, 2) მეორეთ 10 მან. გამოერთოს სწავლის ფასი 3) მესამეთ —20 მან. და 4) მეოთხეთ —40 მან.

(დასასრული იქნება)

# რუსეთი

—

ფინანსთა სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა სახელმწიფო პალატებს, რომ სრულიად მოსპეთ ხაზინებიდგან მანეთიანისი და ხუთ-მანეთიანის ქაღალდის ფულის გაცემა და შეამცირეთ სამ მანეთიანისა და ათ მანეთიან ქაღალდის ფულის ძლევაო.

— უმაღლესმა მთავრობამ უკვე გაუთანასწორა უფლებებით მკურნალი ქალები მკურნალ მამაკაცებს როგორც სამსახურის მხრივ, ისე პენსიის დამსახურებისა. ამ განკარგულებით ისარგებლებენ როგორც მომავალი მკურნალი ქალები, აგრეთვე ისინიც, რომელთაც რუსეთის უნივერსიტეტების სამკურნალო ფაკულტეტის დიპლომები აქვთ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსებული კომისია ნადირობის კანონდებულების გადასათვალიერებლად და შესამუშავებლად ამ ჟამად სასტატისტიკო ცნობებსა ჰკრებს იმის შესახებ, თუ წარსულ წლის განმავლობაში რამდენი კაცი დაშავდა გარეულ მტაცებელ ცხოველისაგან, რამდენი შინაური პირუტყვი იქმნა მოტაცებულ-შეჭმული და საერთოდ რა ზარალი მოუვიდათ ამა თუ იმ გუბერნიის მცხოვრებლებს გარეულ მტაცებელ ცხოველებისაგან.

# უცხოეთი

—

**შეერთებულის შტატებისა და ისპანიის ომი.** ამერიკამ მიწასთან გაასწორა ქალაქი მანილი და თითქმის აიღო კიდეც ფილიპეს კუნძულები და ისპანია-კი ჯერ-ჯერობით არავერს ღონეს არა ღონობს და თავისი ფლოტის უმთავრესი ნაწილი უმოქმედოთ ჰყავს. სახელმწიფოთ და გაზეთებმა არც-კი იციან, სად არის ამ ჟამად ისპანიის უმთავრესი ესკადრა და საერთოდ რას ჰფიქრობს და რა სწადიან ისპანიას. ამის გამო გაზ. „Figaro“ სწერს: „შეიძლება, რომ ის ესკადრა, რომელიც მწვანე კონცხის კუნძულებთანა სდგას, ჯერ არ იყოს მომზადებული საომრად. მაგრამ ისპანიას ამ ესკადრის გარდა სხვა სამხედრო გემებიცა ჰყავს, ხოლო სად არიან ეს გემები და რა საქმის შესრულება აქვთ მინდობილი, არავინ უწყის. ეს გარემოება ისპანიის ყველა მეგობარს ძალიან აფიქრებს. ნუ თუ ისპანია ჯერ კიდევ მოუმზადებელია ომისათვის?“ საზოგადოდ ევროპისა და განსაკუთრებით ამერიკის გაზეთები ბევრს სწერენ იმის შესახებ, თუ სად უნდა იყოს ამ ჟამად ისპანიის უმთავრესი ესკადრა. ზოგი იმას ამბობს, რომ ეს ესკადრა ჯერ ისევ კადიკს არ გასცილებიაო, ზოგი-კი იმას, რომ ისპანიამ კარგა ხანია გაისტუმრა ესკადრა ამერიკის ნაპირებისაკენაო. როგორც ამ ბოლოს დროს მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო სიმართლესთან ახლო უნდა იყოს. ლონდონიდგან იუწყებიან, რომ ერთის გემის კაპიტანმა, რომელიც 15 აპრილს ჩამოვიდა ლონდონში, განაცხადა, რომ ისპანიის ესკადრა წარსულ შაბათს, ღამე, ვნახე კვინსტონის მახლობლადაო. სიბნელეში ვერ გავარჩიე რამდენი გემი იყო, მაგრამ, როგორც შევატყე, ესკადრა ამერიკის ნაპირებისაკენ მიდიოდაო. თუ ეს ამბავი მართალია, ისპანიის ესკადრა ეხლა მიახლოვებული იქმნება ამერიკის ნაპირს და ეჭვი არ არის, ამ ორ დღეში დაეცემა კიდეც ამერიკის რომელსამე ნავთ-სადგურსაო. ამავე დროს პარიჟის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ბაიონიდგან, რომელიც ისპანიის საზღვარზედაა: „ამბავი მოვიდა, რომ ისპანიის ესკადრა, რომელიც შვიდის გემისაგან შესდგება, გუშინ გაუდგა გზასაო. ხმა დადის, რომ ამ ესკადრას აზრადა აქვს ამერიკის უმთავრეს ნავთ-სადგურებს დაეცესო“. შეიძლება ეს სწორედ ის ესკადრა იყოს, რომელიც ინგლისის გემის კაპიტანს კვინსტონის მახლობლად უნახავს. ასეა თუ ისე, იმ გარემოებამ, რომ ისპანია ჩუმად იქცევა და არავის არ ატყობინებს თავის ესკადრის მოძრაობას, ამერიკელები დიდს შიშსა და საგონებელში ჩააგდო. იქ დარწმუნებული არიან, ისპანიის ესკადრა დღეს არა ხვალ ამერიკის ნაპირებს მოადგება და ყუმბარების სროლას დაუწყებს ნავთ-სადგურებსაო. სწორედ ამის თავიდგან ასაცდენად ამერიკის მთავრობამ ესრედ წოდებული მსწრაფლ მოსიარულე ესკადრა გაისტუმრა ზღვაში და მიანდო ისპანიის ესკადრის მოძებნა და შეჩერება. ეს მსწრაფლ-მოსიარულე ესკადრა შვიდის გემისაგან შესდგება და თან 233 აფიცერი და 2,700 ჯარის-კაცი ჰყავს. ამ ესკადრის უფროსი ადმირალი შლეიეა.

— ნიუ-იორკიდგან სწერენ გაზეთ „Times“-ს: „იმ ამბავმა, რომ ადმირალის სამპსონის ფლოტი ჰავანისაკენ გაემართაო, დიდი არეულობა და შიში გამოიწვია ამ ქალაქში. ყველა იმას სცდილობს, რაც შეიძლება მალე გაიხიზნოს ქალაქიდგან. ყოველდღე ჰავანიდგან გამსვლელი მატარებლები ხალხით არის გატენილი. ამ ჟამად ქალაქის ქუჩები სავსეა ჯარითა და თავისუფალ მეომრებით. ქალაქის დასაცველად კუნძულის სხვა კუთხეებიდგანაც დაიბარეს ჯარი“:

— გაზეთები იუწყებიან, რომ ამ დღეებში ისპანიის ქალაქ ვალენსიაში დიდი პატრიოტული მანიფესტაცია მოხდაო. ამ მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 100,000 კაცმა წოდებისა და ხარისხის გაურჩევლად. მანიფესტანტებმა საერო სავალობლების სიმღერით ქალაქის თითქმის ყველა ქუჩები გაიარეს. ბევრმა პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ზეცამდე აჰყვანდათ ისპანიის ხალხი და ჯარი და ჰკიცხავდნენ ამერიკას.

— ათინიდგან სწერენ გაზ. „Daily Nevs“, რომ კრიტელები დიდს თანაგრძნობას უცხადებენ ამერიკის შეერთებულ შტატებსაო. ისპანიას ისინი ისე უყურებენ, როგორც მტარვალ სახელმწიფოს. კორესპონდენტის სიტყვით, ხუთასი კრიტელი ამერიკის ელჩთან მივიდა და სთხოვა ამერიკაში გაგვგზავნეთ, რომ ისპანიის წინააღმდეგ ვიბრძოლოთო. მათ განაცხადეს, რომ კრიტის მეომართაგან ცალკე რაზმს შევადგენთო. ელჩმა დიდი მადლობა გამოუცხადათ კრიტელთ, მაგრამ მათი თხოვნა-კი არ შეიწყნარაო.

—

**შეერთებული შტატები და ისპანია.** ვენიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „Nord“-ს: „ძალიან შესაძლებელია, რომ ფილიპეს კუნძულების გამო იაპონიასა და ამერიკის შტატების შორის შეტაკება მოხდეს, რადგანაც ამ კუნძულებზედ იაპონიას უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე შეერთებულ შტატებსაო. იაპონიასა და ამერიკის შორის უთანხმოება ჯერ ისევ მაშინ ჩამოვარდა, როდესაც ამერიკის რესპუბლიკამ ჰავაის კუნძულები შეიერთა, ხოლო ეხლა თუ შტატები ფილიპეს კუნძულებისაკენაც გაიშვერს ხელს, იაპონია აღარ მოითმენს და უეჭველად შეებმებაო“.

## სასამართლოს მატიანე

ტერ-აკოფოვის ქალის მოტაცების საქმე.

როგორც მკითხველებმა უწყიან 1894 წ. 9 ივნისს თავ. გიორგი ამილახვარმა თავისს ამხანაგებით მოიტაცა ტერ-აკოფოვის ქალი, რისათვისაც იგი სამართალში იქმნა მიცემული. ტფილისის ოლქის სასამართლომ უარ-ჰყო ქალის მოტაცება ანგარებით და მიუსაჯა თავ. ამილახვარს ორის თვით დაპატიმრება, თავ. ერისთავი-კი გაამართლა. ეს განაჩენი ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა განასაჩივრა. სამოსამართლო პალატის პირველმა სისხლის დეპარტამენტმა გააუქმა განაჩენი და გადაუწყვიტა თავ. ამილახვარსა და ერისთავს ასტრახანის გუბერნიაში გარდასახლება. ეს განაჩენი ბრალდებულთა საკასსაციო საჩივრისა გამო დაარღვია სენატმა და ამის გამო ხელ-ახლად განიხილა ოთხშაბათს, 22 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატის მესამე დეპარტამენტმა. ბრალდებულთ იცავდა პ. ა. ოპოჩინინი, ბრალსა სდებდა ბრალმდებლის ამხანაგი ე. ნ. ხოლოდკოვსკი. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი და უყურადღებოდ დასტოვა ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის განსაჩივრება.

# ნარევი

—

ტფილისში ერთი ბუმბერაზი კაცი ჩამოიყვანეს და ფულით აჩვენებდნენ. თითო ჯერ მისი ნახვა 30 კაპ. ჰღირდა. ტფილისშივე სცხოვრობდა ერთი მეტად ტან-დაბალი კაცი, მესაათე ალექსანდრე, რომელიც, სხვათა შორის, შევიდა ამ დიდის კაცის სანახავად. როცა დიდმა ეს პატარა დაინახა, ჰკითხა:

— რა მიეცი აქ შემოსასვლელიო?

— ექვსი შაურიო, უთხრა ალექსანდრემ.

მაშინ დიდმა კაცმა ამოიღო და ათი შაური მისცა, თან დასძინა:

— არც მე მინახავს შენისთანა პატარა კაციო!..

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკელს სახელოვანს მწერალს მარკ ტვენს დაუწერია შემდეგი „საისტორიო მონოგრაფია“: 1898 წელი. განსი განსენი მიდის ჩრდილოეთის პოლიუსისაკენ. 1899 წელი. ტორმ ტორმპსენი მიდის განს განსენის საძებნელად. 1900 წელი. იჰიმ იგორნსენი მიდის ტორმ ტორმპსენის საძებნელად. 1901 წელი. იაკ იაკსენი მიდის იგორნსენის საძებნელად. 1902 წელი. იაკსენი უკან ბრუნდება და თან მოაქვს იგორნსენის ნეშტი. საზოგადოება იგორნსენს მარმარილოს ძეგლს უგებს. 1903 წელი. იგორნსენი ბრუნდება და თან მოაქვს ტორმპსენის ნეშტი. საზოგადოება ტორმპსენს აგურის ძეგლს აუგებს. 1904 წელი. ტორმპსენი უკან ბრუნდება და თან მოაქვს განსენის ნეშტი. საზოგადოება განსენს ხის ძეგლს აუგებს. 1905 წელი. საზოგადოება მოიღალა, მოსწყინდა ჩრდილოეთისაკენ მოგზაურთა ამბები და ძეგლს არავის არ უკეთებს. 1906 წელი. ერთმა ამერიკელმა, რომლის სახელი და გვარი არავინ იცის, უკვე მიაღწია ჩრდილოეთის პოლიუსს. საზოგადოება ამას არავითარს ყურადღებას არ აქცევს. ნაბძანებია განადგურდეს ყველა ძეგლი, რომელიც-კი როდისმე აუგიათ მოგზაურთათვის.

* * *

ლონდონიდგან იუწყებიან, რომ ერთს ტეხნიკს, გვარად რანდალს გაუკეთებია ახალი მანქანა. ამ მანქანას გაუკეთებენ ტელეგრაფის მავთულებს და შესაძლებელი შეიქმნება ტელეფონით ლაპარაკი. ეს მანქანები გამოუცდიათ ლონდონში რკინის გზაზედ 100 ვერსის მანძილზე. ტელეგრაფის მანქანების მაგიერად გამართეს ტელეფონის მანქანები და ისე ლაპარაკობდნენ ამოდენა მანძილზედ.

* * *

პროფესორს ბერინგს გამოუგონია ახალი წამალი ჭლექის წინააღმდეგ. ეს წამალი უცდია კიდეც და დარწმუნებულა, რომ ჭლექიანს ხარებს კარგად არჩენს, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანს-კი ვერაფერსა ჰშველის.

* * *

ინგლისელს ლამბერგს გამოუგონია და გაუკეთებია კიდეც სულ ახალგვარი გემი, რომელიც, თურმე, ზღვაში წყალს ზემოდ დასცურავს ისე, რომ გემის ძირი მხოლოდ ზევიდგან ეკარება წყალსა და შიგ სრულებით არა ჰზის, როგორც ეხლანდელი გემები. გემი გამოსცადეს კიდეც და ერთს საათში 32 ვერსი გაიარა. მცოდნე კაცები ამტკიცებენ, რომ ამ გვარი გემი გაცილებით უფრო სწრაფად ივლისო და ყველაფრით უკეთესი იქმნება ეხლანდელ გემებზედაო.

# ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ქართული საერო და სასულიერო კილოები“. ისტორიული მიმოხილვა, შედგენილი მღ. პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ. წიგნი შეიცავს 97 გვერდს და ღირს 50 კაპეიკი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 აპრილი

**პეტერბურგი.** „მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობა: „ამ ბოლო დროს გაზეთებში იბეჭდება კორესპონდენციები გასულ წლის მოუსავლობით დაზარალებულ გუბერნიებიდგან. ამ კორესპონდენციებში აწერილია მეტად გაჭირვებული და უიმედო მდგომარეობა ამ გუბერნიების მცხოვრებლებისა და რომ ამ ადგილებს ჯერ ჯერობით არავინ ეხმარებაო. ეს კორესპონდენციები უფროს ერთ შემთხვევაში გაზვიადებულია და ხალხი მართლა ისე არ არის გაჭირვებული, როგორცა სწერია გაზეთებში. ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ იმ გუბერნიებში, რომლებიც მოუსავლობით არის დაზარალებული, შემთხვევა არა ყოფილა, რომ უარი ეთქვათ გაჭირვებულთათვის, არა ყოფილა აგრეთვე არსად არც სიმშილი, არც სახადი და არც სხვა რამ ავადმყოფობა. გაზეთში დაბეჭდილი ამბები ზოგი მართალი არ გამოდგა, ზოგან-კი თუმცა მართალია გაჭირვება ყოფილა, მაგრამ ისეთი კი არა, რომ სოფლის მცხოვრებთა ჩვეულებრივ გაჭირვებას აღემატებოდეს.“ შემდეგ ჩამოთვლილია ყოველ გვარი საშუალება, რომელიც არის მიღებული ხალხის დასახმარებლად 1897—1898 წელს და დაბეჭდილია ოფიციალური ცნობები ეხლანდელის ვითარების შესახებ. სიმშილი-კი არა, და მოუსავლობა-კი შემდეგ გუბერნიებში ყოფილა: ვორონეჟისა, კალუგისა, კურსკისა, ორიოლისა, რიაზანისა, სამარასი, სარატოვისა, სტავროპოლისა, ტამბოვისა, ტულასი, ყაზანისა, ნიჟნი-ნოვგოროდისა, ორენბურგისი, პერმისა და უფას გუბერნიებში და დონის ოლქში, რომელთაც მიეცათ პურითა და ფულით დახმარება $8^{1}/_{2}$ მილიონ მანათამდე. ამასთანავე შედარებულია გაჭირვება და მოუსავლობა 1891 და 1897 წლებისა და დანამდვილებით მტკიცდება, რომ ეხლა სრულებით არ არის ის გაჭირვება, რომელიც 1891 წელს იყო. მერე ნათქვამია: ამ გვარად, გასულის წლის მოუსავლობა სრულებით არ შეედრება 1891 წლის გაჭირვებას და უკვე მიღებულ საშუალებათა გამო, როგორც ეხლა გამოირკვა, მცხოვრებლებს არ გაუჭირდებათ არც გამოკვება და არც თესვა გაზაფხულზედ. მიუხედავად ამისა მაინც საჭიროა დახმარება მოუსავლობით დაზარალებულთა, ამის გამო მთავრობა სიამოვნებით მიეგება ეგრედ წოდებულ რუსეთის წითელის ჯვრის საზოგადოების წინადადებას შესახებ მოუსავლობით გაჭირვებულ ხალხის დახმარებისა. აგრეთვე სასურველია, რომ ქველ-მოქმედნი დაეხმარნენ მომეტებულად გაჭირვებულ ოჯახებს.

**მოსკოვი.** ნანსენი ვენაში წავიდა. დიდ ძალმა ხალხმა ტაშის ცემით გააცილა.

**პარიჟი.** მიწად-მოქმედების უმაღლესმა საბჭომ განაცხადა, რომ აუცილებლად საჭიროა 1 ივლისამდე გაუქმებულ იქმნას პურზედ დადებული სადამოჟნო გარდასახადი. მთავრობა დაუყოვნებლივ შეიწყნარებს შესაფერს გარდაწყვეტილებას.

**ვაშინგტონი.** სამინისტროს ეუწყა, რომ ინგლისის მთავრობას სინგაპურის გუბერნატორისაგან დეპეშა მისვლია, რომელიც ამტკიცებს, გუშინ მანილიასთან მართლა ბრძოლა მოხდა: ორის საათის ბრძოლის შემდეგ, ესპანიის ფლოტი დაიღუპა, ამე-

რიკის გემები უკან დაბრუნდნენ და ნახშირი გამოართვეს იქვე მდგომ გემს. ამერიკის ერთი გემი, რომლის სახელი ნახსენები არ არის, ბრძოლისათვის გამოუსადეგარი შეიქმნა. ამერიკის ადმირალმა სთხოვა ინგლისის ელჩს გარდაეცით ისპანიის გუბერნატორს გადმოგვცეს ზარბაზნები, ტორპედები და ტელეგრაფის სადგურებიო და განაცხადა, რომ თუ ეს ჩემი თხოვნა ასრულებული არ იქმნა, ქალაქს ყუმბარებს დავუშენო. გუბერნატორმა ეს არ შეიწყნარა. მანილიასთვის ყუმბარები ორშაბათიდგან უნდა დაეშინათ.

იუწყებიან, რომ მაკ-კინლეის წერილი მოსულია დევესაგან, მანილიამ იარაღი დაჰყარა და შტატებს დაემორჩილაო.

**მადრიდი.** „Liberal" იუწყება, რომ სამინისტრო კრიზისი უკვე დაიწყო და რამდენსამე საათის შემდეგ მოხდებაო.

შიშიანობის დროის წეს-რიგის გამოცხადებისა გამო მთავრობამ აკრძალა ომიანობის ამბების გავრცელება.

**კონსტანტინეპოლი.** გამოცხადება საბერძნეთის მხრივ საომარ საზღვაურის გადახდისა და წინადადებისა ოსმალეთის მხრივ თესალიის დაცლისა გვიანდება იმის გამო, რომ ინგლისმა, ვითარცა იმ სახელმწიფოთაგანმა, რომელნიც თავმდებად არიან, მოითხოვა, რომ საზღაური გარდახდილ იქმნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ოსმალეთი თესალიას დასცლისო. ამ წინადადების შესახებ მოილაპარაკებენ დიდნი სახელმწიფონი. იმედი აქვთ, რომ თანხმობა მოხდება რამდენსამე დღის შემდეგ.

**მადრიდი.** პალატა. სალმერონმა მოითხოვა პასუხი მანილიასთან დამარცხების გამო. შემდეგ ორატორმა სთქვა, დიდს სიკეთეს იზამს, ვინც მახვილით ბოლოს მოუღებს საქმეთა ასეთს ვითარებასაო. მონარქიის მომხრენი წინააღმდეგობას აცხადებენ. საგასტამ განაცხადა, მე ყოველთვის მშვიდობიანობის მომხრე ვიყავი, მაგრამ მთავრობის სურვილის მიუხედავად ომი აუცილებელი შეიქმნა, რადგანაც ისპანია იძულებული შეიქმნა ომი დაეწყო.

23 აპრილი

**რომი.** იმ დიდ არეულობათა, რომელიც გამოიწვია პურის სიძვირემ, და სამხედრო ძალასთან მომხდარ შეტაკებისა გამო შემოღებულ იქმნა სამხედრო წესები.

**მადრიდი.** მინისტრთა საბჭოში წაკითხულ იქმნა ფილიპპეს კუნძულების გუბერნატორის დეპეშა, რომელშიაც სწერია—ინგილისის ელჩმა სურვილი განაცხადა, რომ ჩინელებს მფარველობას მე გავუწევო. პასუხად უარი შეეთვალა.

**მადრიდი.** დეპუტატთა პალატა. კარლოსის მომხრე ლორენსი კითხულობს მანილიდგან მოსულს წერილს, რომელშიაც ნათქვამია, რომ მტრის მოსაგერებლად არავითარი საშუალება არ იქმნა ხმარებული წყლის ქვეშაო. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ მანილში საკმაო ჯარია დაბანაკებული თავ-დასხმისაგან უზრუნველ-საყოფელადაო. ზღვათა მინისტრმა უპასუხა, რომ შეუძლებელი იყო წინ და წინ წყლის ქვეშ გამართულიყო მოსაგერებელი საშუალება.

**ნიუ-იორკი.** სანავოსნო გარდასახადის მომატების პროექტი ამოშლილ იქმნება სენატის მიერ იმ კანონ-პროექტიდგან, რომელიც ომისათვის საჭირო ხარჯის გაძღოლას შეეხება.

მაკ-კინლეიმ სურვილი განაცხადა ფილიპპეს კუნძულები შეირჩინოს ომის გათავებამდის და დაუმატა, რომ მთავრობას არა აქვს აზრად ეს კუნძულები შეერთებულ შტატების სამფლობელოს შეუერთოსო. თუ ისპანიამ ამ ომისა გამო გაწეული ხარჯი ვერ გარდაიხადა, მაშინ ფილიპეს კუნძულები ევროპის რომელსამე დიდს სახელმწიფოს დაეთმობა და მათ შორის უპირატესობა ინგლისს მიეცემაო.

**კი-ვესტი.** გუშინ დიდი მოძრაობა დაიწყო ამერიკის ფლოტმა. ცენზურამ აჰკრძალა ამის შესახების ამბების გამოქვეყნება. სამხედრო საბჭომ დაადგინა, საჭიროა მოსპობილ იქმნას ისპანიის ფლოტი, ვიდრე გარს შემოვერტყმოდეთ ჰავანნასაო.

**რომი.** გამოქვეყნებულ იქმნა დეკრეტი, რომ პურის გარდასახადი გაუქმებულია 18 ივნისამდისაო.

**ნიუ-იორკი.** კინგსტონიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ სანტ-იაგოში ბრბო თავს დაესხა ინგლისის ელჩს. ელჩმა თავის დაცვის დროს მოჰკლა ისპანელი, რის გამოც დაპატიმრებულ იქმნაო.

**რომი.** პიაჩენცსა და სხვა ქალაქებში არეულობა მოხდა. რამდენიმე კაცი მოკლულ იქმნა.

**ლისსაბონი.** აქ ცნობა მოვიდა, რომ ისპანიის ესკადრა უკან დაბრუნდა კადიქსთან მყოფ ფლოტთან შესაერთებლად. შეერთებული ესკადრა მალე წავა ამერიკის წყლებისაკენ. ეს ესკადრა უსათუოდ ის იქმნება, რომელიც სან-ვინსენტიდგან გამოვიდა.

**პეტერბურგი.** ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ტომიჩი შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრად ინიშნება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: დუხაბორების სასარგებლოდ შემოწირულებათა შეკრებისათვის, რის შესახებ განცხადებაც იქმნა დაბეჭდილი გაზ. „Русскія Вѣдомости"-ში და მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის განკარგულების აუსრულებლობისა გამო გამოეცხადოს ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელს მესამე გაფრთხილება და შეჩერებულ იქმნას ამ გაზეთის გამოცემა ორის თვით.

იმის გამო, რომ ხმა გავრცელდა, შიმშილობაა და სახადი გავრცელებული ტულის გუბერნიაში წარსულის წლის მოუსავლობისა გამო, ტულის გუბერნატორმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ადგილობრივ შეკრებილ ცნობებით ეს ხმა არ გამართლდაო.

22 აპრილს გამოაშკარავდა შვილის მკვლელობა: სასტუმროს მოსამსახურე ქალს ეყოლა თურმე ბავშვი, მაშინვე დაარჩო და გახურებულ ღუმელში შეაგდო, სადაც გვამი გახრწნილი იპოვნეს. ქალმა დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ ამ ერთის წლის წინადაც მეყოლა ბავშვი, ისიც ღუმელში შევაგდე და დავწვიო.

**მადრიდი.** გუშინ ტალავარში არეულობა მოახდინა ბრბომ. აიკლეს რამდენიმე სახლი და ერთი მონასტერი, რომელსაც შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს. დააპირეს საპატიმროდგან პატიმართა განთავისუფლება. მრავალი ხალხი იქმნა დაპატიმრებული, ველასკოში აიკლეს რამდენიმე მაღაზია. ბრბოს ჯარი მიეგება წინ, რამდენიმე კაცი დაჭრილ იქმნა. გამოცხადებულ იქმნა, შიშიანობის დროის წეს-რიგი იქმნა შემოღებულიო. ვალენსიაში ბრბო გაფანტული და ბევრი დაპატიმრებულ იქმნა. კასსერესში გუშინ არეულობა მოხდა, მაგრამ მალე ყოველივე დაწყნარდა.

**სან-ფრანცისკო.** ჰავაის პრეზიდენტმა წინადადება მისცა მაკ-კინლეის, შეერთებულმა შტატებმა შეიერთოს ჰავაის კუნძულები, რომ ისპანიასთან ომის დროს შტატებს შესამაგრებელი ადგილი ჰქონდესო.

**ლონდონი.** სატელეგრაფო საზოგადოება იუწყება, რომ მანილიასთან სატელეგრაფო მავთული დაჭრილია და სატელეგრაფო ცნობების შეტყობა შეუძლებელი გახდაო. მანილიაში მყოფ ევროპიელთა უზრუნველმყოფელობა არაფრით არ იქმნება დარღვეული. შეუძლებელია ამერიკის ადმირალმა გემიდგან ჯარი ძალათი გადაიყვანოს, თუ წინდაწინ მეციხოვნენი ხელთ არ ჩაიგდო. მანილიას მიდამოებში 10,000 ჯარის კაცია დაბანაკებული. ეს ჯარი ქალაქს იცავს მეამბოხეთაგან.

**მადრიდი.** პროვინცია ოვედლოში შიშიანობის წეს-რიგი იქმნა შემოღებული, რადგან არეულობა მოხდა სანოვაგეს შემოკლებისა გამო.

**კონსტანტინეპოლი.** იემენის აჯანყებული მცხოვრებლები ვერ დააწყნარა ორმა ბატალიონმა. ერთნახევარი როტა ჯარის კაცთა დატყვევებულ იქმნა მეამბოხეთაგან. ბეჯასადგან იემენს გაგზავნილ იქმნა კიდევ ოთხი ბატალიონი. ახალი ვალი-ჰუსსეინ-ხილმი-ეფენდი გაემგზავრა იემენისაკენ.

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვწირავ ქვემო ხსენებულ ქველმოქმედთა, რომელთაც ფულით შემწეობა აღმოუჩინეს სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლებს.

მღვდელ-მონაზონი, ხირსის მონასტრის ხაზინადარი მ. ალექსანდრე 2 მან., იმავე მონასტრის მღვდელ-მონაზონი მ. პიმენი 1 მან., X—1 მ., მღ. ქიტიაშვილი 40 კაპ., X—25 კაპ., X—25 კაპ., მ. მირიანაშვილისა 50 კაპ., X—10 კაპ., X—1 მან., მთავარი ი. მენთეშაშვილი 1 მან., ბლაღოჩინი მღ. ა. ბალაშვილი 1 მან., დეკანოზი მღ. ს. ბეგიაშვილი 1 მან., მღ. ი. დარჩიაშვილი 75 კაპ., მთავარი რაჟდენ დარჩიაშვილი 50 კაპ., ბ-ნი მაისურაძე 1 მან., ბ. ლომონოსოვი 1 მან., კნ. ჯორჯაძე 1 მან., ბ-ნი ფედორენკო 1 მან., კნ. აბხაზი 50 კაპ., თედო სალარიძე 50 კაპ., ლევან მირიანაშვილი 1 მან., ისაკი ფხოველაშვილი 1 მან., ბ-ნი დევრიენკოვი 1 მ., ბ-ნი მუხანოვი 1 მან., ბ-ნი რობიტაშვილი 1 მან., მკურნალი მოსესოვი 2 მან., ბ-ნი გომელაური 2 მან., ბ-ნი ხიმშიაშვილი 50 კაპ., ბ-ნი ხელაშვილი 50 კაპ., დ. ჭრელაშვილი 1 მან., ბ-ნი ყაჯარდუზოვი 1 მან., ბ-ნი ჩახნაშვილი 1 მან., შ. ბაშინჯაღოვი 2 მან., გრ. კანდელაკი 1 მან., ქ-ნი მენთეშაშვილისა 10 კაპ., დიაკვანი დ. მირიანაშვილი 2 მან., მღ. ვ. ნათიძე 1 მან., მასწავლებელი გ. მატათაშვილი 1 მ., მღ. ე. მენთეშაშვილი 1 მან., დიაკვანი მ. ბეგიაშვილი 50 კაპ., მღ. პ. კარბელაშვილი 50 კაპ., მღ. ი. ჭრელაშვილი 1 მან., მღ. ნ. მაჭავარიანი 50 კაპ., მღ. დ. მჭედლიშვილი 1 მან., დიაკვანი მესტიაშვილი 20 კაპ., დიაკვანი გოცირიძე 20 კაპ., ნიკოლოოზ მირიანაშვილი 1 მან. 50 კაპ., ალ. ზურიაშვილი 3 მან., ს. მირიანაშვილი 1 მან., გ. მირიანაშვილი 1 მან., მღ. ი. ბალარჯაშვილი 1 მ., მღ. დ. დეკანოზიშვილი 1 მ., ბ-ნი ლოლაძე 20 კ., თ. ალადაშვილი 1 მ., გ. ხატიაშვილი 20 კ., ლ. ბალარჯაშვილი 50 კ., ზ. ბარნაბაშვილი 50 კ., მასწავლებელი ბ. მირიანაშვილი 1 მ., დიაკვანი ჭრელაშვილი 20 კ., X—20 კ., ვ. ხელაშვილი 25 კ., ზ. მენთეშაშვილი 25 კ., ბ-ნი პოზნიაკოვი 1 მ., მღ. ი. შოშიაშვილი 20 კ., ბლაღოჩინი მღ. კ. ღვთისავრიშვილი 1 მ., დიაკვანი დ. კობიაშვილი 25 კ., ილია ინაშვილი 20 კ., ალ. ნადირაშვილი 1 მ., კნიაგნა ნ. ანდრონიკაშვილისა 1 მ., მღ. ი. მახარაძე 1 მ., მღ. ე. მენთეშაშვილი 30 კ., მღ. ვ. ნათიძე 30 კ., მღ. ნ. მაჭავარიანი 30 კ., დიაკვანი მ. ბეგიაშვილი 30 კ., ბლაღოჩინი მღ. ა. ბალაშვილი 30 კ., გ. კანდელაკი 30 კ., გ. მატათაშვილი 30 კ., ი. მენთეშაშვილი 30 კ., X—30 კ., მღ. ი. შოშიაშვილი 30 კ., მღ. პ. კარბელაშვილი 40 კ., ვლადიმერ მარჯანიშვილი 3 მ., ვასილი ნადირაშვილი 3 მ. და 50 კ., დ. რ. გოგნიაშვილი 5 მ., ტ. მ. საიატნოვი 3 მ., ი. ი. ხოსიტაშვილი 7 მ., თავ. ჩერქეზიშვილი 3 მ., ალექ. ტრიგონოვი 1 მ., ნინა ხოსიტაშვილისა 1 მ., ნიკანდრ თოფურიძე 1 მ., ვლადიმერ ქაჯაია 1 მ., და სიმონ წერეთელი 1 მ.

სიღნაღის მაზრის განყოფილების საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარე მღ. ი. მირიანაშვილი

## განცხადებანი

**ქიზიყის მომხმარებელ საზოგადოების დეპო**

აუწყებს თავის წევრებს, რომ მომავალ მაისის 3-ს მოჰხდება დეპოს საზოგადო კრება ს. ქვემო-მაჩხაანში, დეპოს დარბაზში, დილის 9 საათიდგან.

საგანი კრებისა:

I. წარსულ წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

II. სხვა-და-სხვა ღონისძიებათა დასახელება დეპოს წევრთა გამრავლებისა და თანხა-აღებმიცემობის გაძლიერებისათვის;

III. მომავალ წლისათვის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და სამოქმედო გეგმის განხილვა;

IV. წარსულ კრებისაგან აღმორჩეულ კომისიის დადგენილებათა მოსმენა და დამტკიცება:

V. გამგეობა რევიზიის წევრთა აღმორჩევა;

VI. სოფლის მეურნეთა სხვა-და-სხვა ჭირნახულისათვის სამაზრო ამბარ-საწყობთა დაარსების შესახების მოხსენების განხილვა.

გამგეობის თავმჯდომარე დ. ნადირაძე.

წევრნი გამგეობისა: დ. ჯავაშვილი, ი. გომელაური. (2—ნ.—1).

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროხელოვნურად მინანქრით ნამუშევარდა აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუაელობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и Ко.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.
Коробка съ пуховк. 80 к.


Коробка безъ пуховки 50 к.
(11—მ10)

1898 წ. 27 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგურში გამართულ იქმნება

**კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრება**

საზოგადოების 25 წლის არსებობისა გამო. კრება მოისმენს:

1) საზოგადოების თავმჯდომარის თ. ა. ბიკოვის სიტყვას საზოგადოების 25 წლის არსებობის შესახებ.

2) საზოგადოების მდივნის ა. ს. ფრენკელის მოხსენება: „მოკლე ისტორია საზოგადოების 1873—1898-წლ. მოქმედებისა".

3) მთავრობის განკარგულებათ.

საზოგადოების წესდების მე-17 §-ის თანახმად კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრნენ. (3—უ.—2)

„წერა-კითხვის საზოგადოებსი"

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შმდეგი წიგნები:

აქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია | „ | 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა | „ | 70 |
| მოსავლის მცველნი გოგებაშვილისა | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა | 1 | „ |
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს | „ | 25 |
| ანვაზე საკერი ანბანი | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა | „ | 40 |

Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Апрѣля 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.